საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 30 15/07/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს დასაფინანსებებლი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:
ა) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ღვინის მარნიდან ე. წ. თავხელიძეების ბოგირამდე ს/გზის რეაბილიტაცია;
ბ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. ენდელაძეების შემოვლითი საუბნო გზის რეაბილიტაცია;
გ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში ე. წ. შათირიშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია.

2. ნება დაერთოს ბაღდათის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;
ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. #11, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე